საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-12 პუნქტისა და 151-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულებით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე
საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ქალაქ გორისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტი გაიყოს, გორის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი – გორის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი გორი.

2. ქალაქ ამბროლაურისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტი გაიყოს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ამბროლაური.

3. ქალაქ მცხეთისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტი გაიყოს, მცხეთის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი – მცხეთის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი მცხეთა.

4. ქალაქ ოზურგეთისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გაიყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ოზურგეთი.

5. ქალაქ თელავისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტი გაიყოს, თელავის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი – თელავის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი თელავი.

6. ქალაქ ახალციხისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალციხის მუნიციპალიტეტი გაიყოს, ახალციხის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი – ახალციხის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ახალციხე.

7. ქალაქ ზუგდიდისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გაიყოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი ზუგდიდი.

8. ახალშექმნილი თვითმმართველი თემების – გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საზღვრები ემთხვევა შესაბამისად გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების არსებულ საზღვრებს, შესაბამისი დასახლებების – ქალაქების – გორის, ამბროლაურის, მცხეთის,

ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის არსებული საზღვრების გამოკლებით, და განისაზღვრება თანდართული სქემატური რუკების (დანართები №1–№7) თანახმად.

9. თვითმმართველი ქალაქების – გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის და თვითმმართველი თემების – გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრები დადგინდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 160-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

10. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**

ქუთაისი,

4 აპრილი 2014 წ.

N2205-IIს